

## ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

### ოქმი №8

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

4 მაისი 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

#### **მოწვეული პირი:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭივილი**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

სხდომა 13<sup>00</sup>-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2020 წლის 4 მაისის ბიუროს სხდომის

#### **დღის წესრიგი**

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე”

მომხსენებელი: **ზვიად კაპანაძე**

2. „ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის N27 4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ “

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭეიშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2020 წლის 4 მაისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე”

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საპრივატიზებოდ გამზადებული 24 ობიექტი და იჯარის ფორმით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ორი ობიექტი:

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 4 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის N27 4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ “

1. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსახლეობის მოთხოვნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში 3000 ლარი, რომელიც გამოყოფილი იყო გარე განათების მოსაწყობად, გადატანილი იქნას სოფელ ისრითში რკინა ბეტონის არხების გასაკეთებლად.

2. თითქმის ყველა პროექტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,“ რომელიც იქნა მოწონებული, მითითებული იყო პროექტების სავარაუდო ღირებულება. მას შემდეგ, რაც მოხდა საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, შევიდა ცვლილებები თითოეული პროექტის ღირებულებაში და შესაბამისად შევიდა 2020 წლის 02 მარტის N27 4 განკარგულების დანართში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 4 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე